

## პავლე სილენციაროსი

პავლე სილენციაროსს ცხოვრება და მოღვაწეობა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღზევების პერიოდს დაემთხვა, როცა ქვეყანას იმპერატორი იუსტინიანე I (527-565 წწ.) განაგებდა, რომელსაც პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველა მიმართულებით წარმატებული საქმიანობის გამო ისტორიამ დიდი უწოდა. მისი, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის, იდეალი ერთიანი იმპერია და ერთი სარწმუნოება იყო, რომელიც სულიერ ერთობას გულისხმობს და ამდენად მტკიცე საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური გამთლიანებისთვისაც. იმ იდეის ხორცშესხმისათვის იუსტინიანე დიდის მოღვაწეობაში სამ ძირითადი ასპექტი გამოიყოფა: 1. განსაკუთრებული საეკლესიო პოლიტიკა მართლმადიდებლური ქრისტიანობის გაძლიერება-განმტკიცებისათვის; 2. კანონთშემოქმედება ქვეყნის შინაური ყოფის მოსაწესრიგებლად და 3. ომები იმპერიის გარეშე მტრებთან. როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მოღვაწეობა ყოველმხრივ-წარმატებული გამოდგა. იმპერატორმა ბოლო მოუღო შფოთსა და დაპირისპირებას, რომელთაც სახელმწიფოს შიგნით წარმართობის ჯერ კიდევ შემორჩენილი მიმდევარნი და ერეტიკული მიმდინარეობანი ქმნიდნენ და გუთებთან, ვანდალებთან, გალებსა და სპარსელებთან ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებებით დიდი ხნით დაამშვიდა ქვეყანა გარეშე მტერთა განუწყვეტელი თავდასხმებისაგან, რითაც ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიის ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობისათვის.

იმპერატორ იუსტინიანეს ხშირად წარმართობის მიმართ შეუწყნარებელ დამოკიდებულებას საყვედურობენ, მაგრამ ამ შეხედულებას დაზუსტება სჭირდება. იმპერატორი მხოლოდ წარმართულ რელიგიასა

და წარმართული ფილოსოფიის მსოფლმხედველობას არ იწყნარებდა და მათი, ზეგავლენისაგან საზოგადოების ცნობიერების განთავისუფლებისთვის იღვწოდა, თორემ რაც შეეხება ანტიკურ კულტურას, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, თავს მისი საუკეთესო ქმნილებების სრულუფლებიან მემკვიდრედ თვლიდა და პატივსაც მიაგებდა. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ კონსტანტინეპოლში მის მიერ ხელმეორედ აგებული აია სოფიის (წმიდა სიბრძნის) გრანდიოზული ტაძრის შექება მან სასახლის კარის პოეტს პავლე სილენციარიოსს დაავალა, რომელსაც სახელი სატრფიალო ეპიგრამებითა და პოემებით ჰქონდა მოპოვებული.

ბიოგრაფიული ცნობები პავლე სილენციარიოსის შესახებ საკმაოდ მწირია, რაც ვიცით, ისიც VI საუკუნის ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (მირინელის) წყალობით, რომელიც პოეტის არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ ახლობელიც ყოფილა. მისი ცნობით, პავლე წარმოშობით კეთილშობილურ გვარს ეკუთვნოდა. მამამისს კიროსი რქმევია, ხოლო პაპას – ფლოროსი. ოჯახის მატერიალურმა კეთილდღეობამ მას საშუალება მისცა საფუძვლიანი განათლების მიღებისა. განსაკუთრებით კარგად სიტყვის წარმოთქმის ხელოვნება – მჭევრმეტყველება შეუსწავლია. პავლეს მრავალი **გახსენების ღირსი** პოემა დაუწერია, მაგრამ აგათიას აზრით, მათგან საუკეთესო გამოდგა ის, რომელიც „დიდი ეკლესიის (აია სოფიის – გ. კ.) შესახებ შეთხზა“.<sup>1</sup> აქვე ვკითხულობთ, რომ კიროსის ვაჟი იმპერატორის სამეფო კარზე მსახურობდა, სახელდობრ, იგი სილენციარიოსთა მთავარი ყოფილა.

როგორც ამავე პერიოდის ცნობილი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გვამცნობს, სილენციარიოსთა მთავარი ბიზანტიის სამეფო კარზე საკმაოდ მაღალ თანამდებობას წარმოადგენდა. იგი განაგებდა

---

<sup>1</sup> Agathiae Myrinei Historiarum, Libri quinque, 9. Bonnae, 1928, 296-297.

სილენციაროსთა ხუთ ჯგუფს, რომელთა წევრებსაც სასახლეში გამართულ ცერემონიებზე სიჩუმისა და საერთოდ, წესრიგის დაცვა ევალებოდათ<sup>2</sup> და ღირსებით სენატორს უთანაბრდებოდა.

პავლეს ეპიგრამებიდან ირკვევა, რომ მას ორი ქალიშვილი შესძენია: უფროსი – მაკედონია სიყმანვილეშივე, 12 წლისა გარდაცვლილა, ხოლო, როგორც ეს ეპიგრამებიდან ჩანს, უმცროსი ანიკითია აგათიაზე უნდა ყოფილიყო გათხოვილი (V, 293; IX, 770). ეპიგრამების მე-5 წიგნის 293-ე ეპიგრამა უშუალოდ აგათიასადმია მიმართული. პავლე სილენციაროსს იგი მისგან მიღებული ეპიგრამის პასუხად დაუნერია, რომელშიც ავტორი განუმარტავდა, რომ ქრისოპოლისიდან დედაქალაქში საყვარელი ქალის მოსანახულებლად საქმეების გამო ვერ ჩავიდა. საქმე ისაა, რომ მართალია, აგათია შეძლებული ოჯახიდან იყო და შესაბამისად, განათლებაც კარგი ჰქონდა მიღებული (იურისპრუდენცია და რიტორიკის ხელოვნება ალექსანდრიაში შეისწავლა), მაგრამ ოჯახის გაკოტრების გამო, იძულებული გახდა შექმნილი ცოდნა საარსებო წყაროს საშუალებად გამოეყენებინა; მან ადვოკატობას მოჰკიდა ხელი და დიდ წარმატებასაც მიაღწია – ყველაზე ცნობილი ადვოკატი გახდა კონსტანტინეპოლში. მიუხედავად სერიოზული მიზეზისა, პავლე მაინც საყვედურობს ახალგაზრდა მეგობარს, რომელმაც სატროფოს სიახლოვეს კანონისა და სამართლის საქმეთათვის უპირატესობის მინიჭება ამჯობინა და მიაჩნია, რომ მისი საქციელი სიყვარულის ნაკლებობაზე მეტყველებს. ქეშმარიტად დიდი სიყვარულის მაგალითად პოეტს ლეანდროსი<sup>3</sup> ესახება; იგი, აგათიასგან განსხვავებით, ვინც საყვარელი ქალის მოსანახულებლად პატარა სრუტის გადმოლახვაც კი ვერ შეძლო, ჰეროსთან შესახვედრად მთელი ღამის განმავლობაში მიაპობდა ტალღებს. პოეტს

<sup>2</sup> სილენციაროსი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან *silentium*, Procopius, *De bello persico*, 243.

<sup>3</sup> მთავარი პერსონაჟი მუსეოსის სატროფიალო ეპილიონისა „ჰერო და ლეანდროსი“.

გული წყდება, რომ აგათიას გრძნობა არც ისე ძლიერია და ღრმა, რომ, იგი მსგავსად ლეანდროსისა, თავდავიწყებამდე მიიყვანოს. ახალგაზრდა კაცი ათენას უფრო სწყალობს, ვიდრე აფროდიტეს, რაც იმას ადასტურებს, რომ სიყვარულზე წინ კეთილგონიერებას აყენებს, რადგან ორი ღმერთის თანაბარი მსახურება არავის ძალუძს:

„ლეანდროსმა გვიჩვენა, თუ რა ძალა აქვს სიყვარულს, როცა მთელი ღამე მიცურავდა და ტალღებს ებრძოდა. შენ კი, მეგობარო, ნავიცა გაქვს და ნიჩბებიც, მაგრამ უფრო ხშირად ათენას აკითხავ, კიპრისს არ სწყალობ“.<sup>4</sup>

770-ე ეპიგრამა მინიშნებას წარმოადგენს ქორწილზე, რომელიც, როგორც ჩანს, ახლო მომავალში უნდა შემდგარიყო და ანიკითიას სასმისზეა წარწერილი:

„ანიკითია ჩემით ისველებს თავის ბალახშოსან ბაგეებს, მე კი საქორწინო შარბათით მის დათრობაზე ვოცნებობ“.<sup>5</sup>

პავლე სილენციაროსს იმპერატორი იუსტინიანეს კარზე ლიტერატურული წრე ჩამოუყალიბებია; ამ წრის წევრი ყოფილა აგათია მირინელიც, რომელიც როგორც ჩანს, პოეტის განსაკუთრებული სიყვარულითა და მფარველობით სარგებლობდა.<sup>6</sup>

პავლეს პოეტური შემოქმედებიდან ჩვენამდე ეპიგრამებმა და აია სოფიის ტაძრისა და მისი საფსალმუნის ვრცელმა ეკფრასისებმა (აღწერანი) მოაღწია. პლატონის ალექსანდრიელი მიმდევარი ელიოს თეონი, რომელსაც ქსენოფონტეს, ისკორატესა და დემოსთენეს კომენტარები ეკუთვნის, თხზულებაში „ნინასწარი სწავლება ხელოვნების შესახებ“ (Technē peri; progumnastaton), რომელმაც ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია, ეკფრასისს განმარტავს როგორც „ზუსტ აღწერით სიტყვას,

<sup>4</sup> თარგმანი ო. ბერიძისა, ბიზანტიური ეპიგრამა, პავლე სილენციაროსი, თბ., 2005, გვ. 87.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 123.

<sup>6</sup> Cameron Av., Agathias, Oxford, 1970, 10-11.

რომელიც საგანს თვალნათლივ წარმოგვიდგენს“. ეკფრასის ობიექტი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგ., შეიძლება დაწვრილებით იყოს აღწერილი რომელიმე ადგილი, პიროვნება, დღესასწაული, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, ხელოვნების ძეგლები – ქანდაკება ან ნახატი. ამასთან, შეიძლება პიროვნების არა მხოლოდ ფიზიკური აღნაგობა და ნაკვთები იყოს დეტალურად აღწერილი, არამედ მისი სულიერი თვისებებიც, რომელიც ერთობლიობაში ხასიათს ქმნის. ასეთ ეკფრასისებს (აღწერებს) *carakt hrismoi* (მახასიათებელნი) ეწოდებოდათ.

ეკფრასისი, როგორც ლიტერატურული ხერხი, ჯერ კიდევ ჰომეროსმა გამოიყენა, მაგალითად, „ილიადაში“ დეტალურადაა აღწერილი, რა იყო გამოსახული აქილევსის ფარზე (XVIII, 467), ხოლო „ოდისეაში“ ასევე დაწვრილებით აღწერს ფეაკების მეფის, ალკინოსს მტკიცედ ნაგებ სასახლეს. (VII, 81). ქრისტიანობაში ეს, უკვე ანტიკურობაში ცნობილი ხერხი, ახალი თემებისათვის იქნა გამოყენებული. ეკლესიის ისტორიის პირველმა ავტორმა ევსევი კესარიელმა ასევე პირველმა გამოიყენა ეკფრასისი თავის თხზულებაში, სახელდობრ, მის „ეკლესიის ისტორიაში“ გვხვდება დეტალური აღწერა ქრისტეს სპილენძის ქანდაკებისა, რომელიც პალესტინაში, კესარიის მახლობლად მდგარა. განსაკუთრებით ხშირია ეკფრასისები მისსავე „კონსტანტინეს ცხოვრებაში“; კონსტანტინეს მიერ ჯვრის ხილვა და ჩვენების განმარტება, იმპერატორისა და მისი ვაჟის პორტრეტები, კონსტანტინეპოლში მოციქულთა სახელობის, ანტიოქიის დიდი რვაკუთხა და იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე აღმართული ეკლესიები. საერთოდ, იმპერატორ იუსტინიანე დიდის მიერ აგებულ შენობათა აღწერილობას ეძღვნება პროკოპი კესარიელის თხზულება „შენობათა შესახებ“.

532 წელს კონსტანტინეპოლში „ნიკას“ სახელი ცნობილი აჯანყებისას, რომელიც იუსტინიანეს წინააღმდეგ იყო მიმართული, სამეფო ქალაქის

მშვენიება – აია სოფიას ტაძარი გადაინვა. კეთილმორწმუნე იმპერატორმა მისი აღდგენა გადაწყვიტა და უმოკლეს დროში, 537 წელს, ძველის ადგილას ბევრად უფრო დიდი ტაძარი ააშენა. ახალი ტაძარი, რომლის ავტორიც, ცნობილი არქიტექტორი ანთიმოს ტრალელი იყო, არა მხოლოდ სიდიდით გამოირჩეოდა, არამედ არქიტექტორული ფორმების სიასლითა და დახვეწილობითაც. 557 წელს დედაქალაქში მომხდარ მიწისძვრას, მართალია, ტაძარი გადაურჩა, მაგრამ გუმბათის ყელი დაზიანდა. 562 წელს შეკეთებული და განახლებული ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაავალა იმპერატორმა პავლე სილენციარიოსს აღდგენილი ტაძრისათვის საგალობელის მიძღვნა.

მართალია, პოეტმა „აია სოფიის ტაძრის აღწერა“ („ეკფრასისი აია სოფიის ტაძრისა“) დავალებით, შეკვეთით დაწერა, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ დავალებისა თუ შეკვეთის გამო მას ნამდვილად არ მოუხდებოდა ძალდატანება თავის პოეტურ ფანტაზიაზე, რადგან აია სოფიის გრანდიოზული ტაძრის სიმწყობრე და დიდებულება თვითონაც აღუძრავდა ბუნებრივ სურვილს მისი შექებისა. მსგავსად ამისა, ვერც იმ ხოტბას ჩავთვლით ძალდატანების შედეგად, რომელიც მან იმპერატორისა და პატრიარქისადმი მიძღვნილ მიმართვებში აღავლინა. სამშობლოს ერთგულსა და მოყვარულ ადამიანს თავისი თავისათვის ძალის დატანება არ დასჭირდებოდა იმისათვის, რომ იმპერატორი, რომელმაც დაუღალავი და მრავალმხრივი მოღვაწეობით ბიზანტიის პოლიტიკურსა და, რაც მთავარია, სულიერ-კულტურულ აღმავლობას ისე შეუწყო ხელი, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, შეექო.

მიმართვები იმპერატორი იუსტინიანესა და პატრიარქ ევტიქისადმი ერთგვარად პოემის შესავალსაც წარმოადგენს და ბერძნული სასაუბრო

ენისათვის უფრო ბუნებრივი სალექსო საზომით – იამბური ტრიმეტრიითაა დაწერილი.

განახლებული ტაძრის კურთხევა 562 წ. 24 დეკემბერს (ძვ. სტილით) დაინიშნა. სწორედ ამ დღის გამორჩეულობაა ხაზგასმით წარმოდგენილი თხზულების პირველსავე სტრიქონებში: „განა მოიძებნება დღევანდელზე უფრო ამალღებული დღე, როცა ღმერთი და მეფე აღივსებიან პატივით?“ – კითხულობს იგი და პასუხსაც თვითონვე იძლევა: „დანამდვილებით არც არავის შეუძლია ამის თქმა“.<sup>7</sup>

ეს პატივი მართლაც შეეფერებოდა კეთილმორწმუნე მეფეს, რომელსაც პოეტი სჯულმდებელს, ქალაქთა აღმაშენებელს, ეკლესიათა აღმმართველს, საჭიროების ჟამს მახვილის ამომღებს, საჭიროების ჟამს მახვილის ჩამგებსა და მშვიდობისმყოფელს უწოდებს. იუსტინიანემ, რომელმაც თავიდანვე დაიმორჩილა მთელი ლიბია (იგულისხმება ჩრ. აფრიკა), შეძლო თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. მან სამეფოს მრავალი პროვინცია ბრძოლით შესძინა, ზოგმაც ქვეშევრდომობა საკუთარი ნებით იკისრა. პოეტს სწამს, რომ იმპერატორის სიძლიერის წყარო ღმერთია და რომ მას არა ფარი და მახვილი, არამედ თვით ღმერთი იცავს.

სილენციაროსი აღფრთოვანებულია მეფის პიროვნული თვისებებით. – სულგრძელობით, რწმენის სიმტკიცითა და გონიერებით. სწორედ ეს თვისებები გამოამჟღავნა მან ამბოხებულთა მიმართ, რომელთაც მისთვის ტახტის წარტაცება ბრძოლით განიზრახეს და ერთხანს ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომ თვით სამეფო სასახლის პალატებში შეაღწიეს. იმპერატორმა სიმშვიდე სარწმუნოების სიმტკიცით წყალობით შეინარჩუნა და ღმრთის სასოებამაც არ უმტყუნა. მოალყეთა მეთაური თავად ეახლა და

---

<sup>7</sup> პავლე სილენციაროსი, ეკფრასისი აია სოფიას ტაძრისა“, თარგმნა ო. ბერიძემ. ბიზანტ. ლიტ. ქრესტომათია, ტ. I, გვ. 97-98.

მანაც ის ვინც დამხოვას უპირებდა, ლმობიერებით კაცობრივ ბუნებაზე აღმატებულმა, შეიწყალა. – პოეტს ეს ლმობიერება და კაცობრივ ცდომილებათა მიმართ გამოჩენილი შემწყნარებლობა ხიბლავს ყველაზე მეტად და აღფრთოვანებას ვერ მალავს გამონვეულს იმით, რომ იმპერატორის მეფური სიმშვიდით მომზირალი თვალები მრავალგზის დაუნამავს ტკივილს, გამონვეულს ქვეშევრდომთა მდაბალი საქციელით. ამიტომაც ეკითხება მსმენელსა და მკითხველს სილენციარიოსი: „განათვით უფლის წინააღმდეგ არ აღიჭურვება ის, ვისაც არ სურს, რომ ასეთი მეფე მბრძანებლობდეს?“<sup>8</sup>

გამომდინარე პოეტის განცხადებიდან, რომ იმპერატორის ქებას აღარ გააგრძელებს, რადგან უკვე ტაძრისაკენ მიემართებიან, გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესავლის ეს ნაწილი მას სასახლეში უნდა წაეკითხა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელშიც პატრიარქი იხსენიება და სამეფო ქალაქი – კონსტანტინეპოლია შექებული – უშუალოდ ტაძარში. მაინც რატომ იქნა იუსტინიანეს ხოტბა წაკითხული სასახლეში და არა თავად ტაძარში? ვფიქრობთ, მიზეზი ამისა, სულით მაღალთათვის ჩვეული თავმდაბლობაა, საფიქრებელია, რომ თვითონ იუსტინიანემ ისურვა, მისი ქების სასახლეში წარმოთქმა და არა ტაძარში, სადაც ყოველთა შემოქმედი უფალი და მეუფე იდიდება.

შესავლის მეორე ნაწილი, რომელიც სასულიერო დასის მაღალი იერარქებისადმი მიმართვით იწყება, ტაძარშია წაკითხული, რაზეც ნათლად მეტყველებს სიტყვები: „მოვედი თქვენთან, მეუფენო, მეფის პალატიდან ყოველთათვის საცნაურ, ყოველთა მეფეთა ზედა აღმატებული მეფის პალატაში...“<sup>9</sup>. თუ იქ მეფემ მოისმინა მიმართვა, აქ „წმინდანთა წინამდგომი“ ისმენს, რომელშიც უეჭველად პატრიარქი იგულისხმება.

---

<sup>8</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>9</sup> იქვე.



იგი კვლავ გამოსატყვევებს მადლიერებას იმპერატორის მიმართ, რომელმაც ხმლით მოუპოვა ქვეყანას მშვიდობა და ყველა ნაგებობაზე აღმატებულ ტაძარში შეკრებილთ მოუწოდებს „განსაკუთრებით წმინდა საგალობლებით“ უგალობონ მას. შემდგომად ამისა, პოეტი აღწერს მიწისძვრას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი იყო, მთელი ტაძრის სივრცეს ვერაფერი დააკლო და მხოლოდ აფსიდის აღმოსავლეთი მწვერვალი დააზიანა.<sup>10</sup> მწუხარებასა და ნალველს ჰგვრიდა მნახველებს მისი ერთი ნაწილი, იატაკზე ჩამოვარდნილი, და ნაწილიც ჰაერში, თითქოს უსაყრდენოდ, გამოკიდებული. მომხდარ უბედურებას მეფის ნათელი გონება დიდი ხნით არ დაუბინდავს და არც სასონარკვეთილებას მისცემია, სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა მისგან მიწისძვრით დაზიანებული სამეფო ქალაქიც. იმპერატორსაც არ დაუყოვნებია და მყის შეუდგა ზრუნვას იმ დაპირების ასრულებისათვის, რომელიც კონსტანტინეს ქალაქს გულში მისცა:

„და ჩემი ღვაწლით კიდევ უფრო შენ განდიდდები

და კვლავ აღდგება მშვენიერთალებიანი ტაძრის გუმბათი“.

საბედნიეროდ, აია სოფიის არქიტექტორიდ ანთიმოსის, მართლაც მაღალი პროფესიონალიზმით გაანგარიშებული გეგმის, წყალობით ტაძრის საფუძველი და კედლები ისე მტკიცე გამოდგა, რომ ძლიერმა მიწისძვრამ ვერაფერი დააკლო, ამიტომაც იმპერატორს შედარებით გაუადვილდა „კვლავ უზადო სილამაზით ამოეშენებინა გუმბათი ტაძრისა“.

პოემის ცენტრალურ ადგილს გუმბათის აღწერილობა იჭერს, რომელსაც პოეტი მეტაფორულად ჩაფხუტს უწოდებს. სფეროსებურად მრგვალი, იგი მსგავსად ნათელი ცისა, გვირგვინად ადგას შენობის სახურავს. თაღებზე დაყრდნობილი ფართოდ გაშლილი გუმბათი სიმაღლეში

---

<sup>10</sup> იქვე, გვ. 102.

ზრდისას თანდათან ვინროვდება, ოღონდ არა ისე, რომ მახვილი მწვერვალი შექმნას, არამედ ცის თაღს ემსგავსება, რომელიც „ჰაერში ლივლივებს“. მისი ხუთი თაღოვანი სარკმლიდან „თმამშვენიერი ცისკრის სხივები ეფინება ტაძარს“.

პოეტის აზრით, თვით ჰომეროსის ბაგენიც კი უძლური აღმოჩნდებოდა იმ თვალწარმტაცი სილამაზის აღსაწერად, რომელსაც მტკიცედ ნაგებ კედლებზე ფერადი კენჭებით გამოსახული მოზაიკური სურათები და ფართოდ გაშლილი იატაკი – „მარმარილოთა მდელი“ ქმნიდა. ნაირფერი ყვავილებით მოჩითული მდელის ასოციაციას იწვევდა სხვადასხვა ფერის მარმარილოთი დაგებული იატაკი. მწვანე, ვარდისფერ, თოვლისფერ, მუქ წითელ, ოქროსფერ, შავ, რომელსაც აქა-იქ რძისფერიც დაკრავს მარმარილოს ფილათა ერთობლიობა თავისთავადაც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა და იმპერიის სივრცელებზეც მეტყველებდა, სილენციაროსი დაწვრილებით ყვება რომელი ფერის მარმარილო, რომელი პროვინციიდან იყო მოტანილი დედაქალაქში.

ოქროცურვილი სეფისქვით მოკირწყლული ჭერიდან ოქროსფერი სხივები იღვრებოდა, რის გამოც მისთვის მზერის გასწორება ისევე ძნელი იყო, როგორც შუადღისას ფაეტონის ბრწყინვალეებისათვის. ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილი – საკურთხეველი, სადაც უსისხლო მსხვერპლშენიშვის საიდუმლო აღესრულებოდა, კეთილმორწმუნე იმპერატორმა არა სპილოს ძვლით, გათლილი ქვებით ან ბრინჯაოთი შეამკო, არამედ ვერცხლით. ვერცხლით დაიფარა მისი არა მხოლოდ კედლები, არამედ სვეტებიც.

ტაძარი უხვად იქნა შემკული გამოსახულებებით განკაცებული ღმერთის, ფრთამალი ანგელოზებისა, წინასწარმეტყველთა და უბრალო მეთევზეებისა – მოციქულებისა, რომელთაც თავიანთი ხელობა – კალათები და ბადეები დათმეს და ადამიანთა სულების მეთევზეებად –

მომნადირებლებად იქცნენ. ხელოვანს არც ღმრთისმშობლის გამოსახვა დაავიწყებია, რომლის წიაღმაც ყოველთა შემოქმედი ღმერთი იტვირთა. კანკელის მოაჯირზე ფილებს იმპერატორისა და დედოფლის – იუსტინიანესა და თეოდორას ერთად შეკრული, ამოკვეთილი მონოგრამა ამშვენებდა წმინდა ტრაპეზი, სრულიად ოქროსი, ოქროსავე სვეტებს ეყრდნობოდა და ძვირფასი თვლებით უხვად შემკული, საოცარ ბრწყინვალებას გამოსცემდა.

ხომალდებისა და ხეების ფორმის ვერცხლის სასანთლებზე ანთებული სანთლებით განათებული ღამე პოეტის სიტყვით „დღესავით იცინის და თვითონაც ვარდისთითება დღედ გარდაიქმნება“. მეზღვაურები, რომელნიც ხომალდს ეგეოსის ზღვიდან ჰელესპონტის წყლებში შეაცურებდნენ, ღამეულ საფრთხეთა წინაშე შიშით შეპყრობილნი, შუქმანათობელ ღამპართა გაჩირაღდებული ტაძრით იკვლევდნენ გზას.

პოემის დასასრულს სილენციაროსი ისევ იმპერატორის პიროვნებას უბრუნდება და ამჯერად მის მოწყალებასა და სიმშვიდეს აქებს, რომლითაც ის ქვეშევრდომებზე გამარჯვებას აღწევდა; ამ თვისებათა წყალობით, მათ სულებს შიშიდან სიყვარულსა და რწმენამდე ამაღლებდა, რის შედეგადაც სურვილს მისი უღლისათვის ქედის მოდრეკისა, თვითონ ამჟღავნებდნენ. ბრძენმა მეფემ იცოდა: „რამდენად უფრო ძლიერია სიყვარული ძალადობაზე და ისიც, რომ ხშირად ხარი მდელიოზე მწყემსის სალამურით თვინიერქმნილი, თავს იშვებს სახრის ზუზუნისას“. იუსტინიანეს წარმატებას სახელმწიფოს განმტკიცებისათვის მოღვაწეობის ასპარეზზე ქრისტეს მარადი წინამძღოლობა განაპირობებდა; სწორედ ის შთააგონებდა იმპერატორს, როდის უნდა ჩაეგო მახვილი ბრძოლაში და როდის ეშიშვლა. მისივე შეგონებით აირჩია მეფემ სულიერი მამა ქვეყნისა, ღმრთიებრივი პატრიარქი. იმპერატორის გვერდით ისიც იღნვის სამწყსოს დაცვისათვის და ამ ღვანლისას გამარჯვების გვირგვინით

ისიც არაერთგზის შემკობილა. პოეტი ხატავს პატრიარქის სულიერ პორტრეტს, რომელიც ღმრთისა და მოყვასის სიყვარულითა გასხივოსნებული. სამწყობოზე ზრუნვით გართულს, არასოდეს ეღრუბლება სახე, პირიქით, ტკბილსა და სასურველ ნათელს ასხივებს, თვითონ მინიერ ვნებათა დამთმობი, სხვათა კაცობრივ სისუსტეებს თანალმობით უყურებს, ხოლო სიუხვით ლიდის ოქროთი მდიდარი მთის მდინარეს აღემატება. მან სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე, რომელსაც სილენციარიოსი მოხდენილად „ღმრთებრივ მდელს“ უწოდებს, ყველა ბილიკი მოვლო და ყველა ზრახვას ზომიერების საზღვრები დაუდო. სწამს რა წმინდა მამის ლოცვის ძალისა, პატრიარქისადმი მიმართვას პოეტი ასე ამთავრებს:

„მტკიცედ იდექ, რათა ლოცვითა შენითა სკიპტრა ჩემი მეფისა  
გაძლიერდეს; მტკიცედ დექ, ნეტარო, რათა ზღვისპირა რომს<sup>11</sup>  
ცოდვილიანი ცხოვრების ყოველი ლაქა ჩამოსწმინდო“.<sup>12</sup>

მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ აღწერითი ხასიათის თხზულებებიდან პავლე სილენციარიოსის „ეკფრასისი აია სოფიას ტაძრისა“ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. პოეტი არ ერიდება ანტიკური მითოლოგიიდან და ლიტერატურიდან აღებული პერსონაჟებისა და მხატვრულ სახეთა გამოყენებას მოვლენისა თუ საგნის აღწერისას მხატვრული ზემოქმედების გასაძლიერებლად, ასეთია მაგალითად, ჰომეროსის ეპითეტები: საბარკულმშვენიერი, ვარდისთითება, თმამშვენიერი... მითოსური პერსონაჟები: ეოსი, პროტევსი, ფაეტონი, ნერევსი.

სილენციარიოსის თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ძეგლის – აია სოფიას როგორც არქიტექტურის, ისე მისი დეტალების შესასწავლად და დასაზუსტებლად. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ,

---

<sup>11</sup> იგულისხმება, ახალი, მეორე რომი – კონსტანტინეპოლი.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 128.

რომ საუკუნეთა განმავლობაში ტაძრის ინტერიერმა მრავალი ცვლილება განიცადა, ხოლო 1934-35 წლებამდე მისი შესწავლის საშუალებაც კი არ არსებობდა.